სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/134

ქ. თბილისი 14 აგვისტო 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსებაზე მყოფი „მშენებლობაში ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვისა და მომსახურების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელ, პროფესორ ზურაბ გვიშიანის მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი „მშენებლობაში ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვისა და მომსახურების ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი პროფესორი ზურაბ გვიშიანი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუიტუბიძე